ხელშეკრულება# 06/60
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

12 დეკემბერი 2014წ

I .მუხლი ხელშეკრულების მხარეები დამათი რეკვიზიტები

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიულ პირ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #178 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნანა ლაბაძის** სახით (მისამართი ქ. თბილისი ვარკეთილი - 3, 2-ე მ/რ საიდენტიფიკაციო კოდი 206031916 ბანკის რეკვიზიტები: სს საქართველოს ; ბანკის კოდი BAGAGE22;ა/ა GE11BG0000000119699000 ტელ 2-795014)) და მეორეს მხრივ შპს „ვინკო" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი ზაზა შიმაკაძის სახით,(მისამართი: თბილისი ლ. გოთუას ქ #22 საიდ. კოდი 404997456 საბანკო რეკვიზიტები: სს საქართველოს ბანკი; ბ.კ. BAGAGE22 ა/ა GE78BG0000000598179200 ტელ 59567006)
საქართველოს კანონის „ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად , სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის მეთოდის გამოყენებით , ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

მუხლიII. ხელშეკრულების საგანი

1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობებზე საჯარო სამართლის იურიდიულ პირ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #178 საჯარო სკოლას მიაწოდოს ფარდა ჟალუზი (2 ცალი 5,72მ/კვ) (cpv39515400) ((იხ.დანართი 1)
2. შემსყიდველ იღებს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებების ფარგლებში აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკურლებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.
3. ხელშეკრულების დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

.

მუხლიIII ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

1. ხელშეკრულების საგნის ჯამური ღირებულება განისაზღვრება საქართველოს ეროვმულ ვალუტაში და შეადგენს **160,00** (ასსამოცი ლარი 00 თეთრი) .
2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.
3. ხელშეკრულების ჯამური ღერებულება შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადსა და მოსაკრებელს.
4. წინამდებარე ხელშეკურლების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 -ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი.IV საქონლის მიწოდების ვადები

1. მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 05 სამუშაო დღისა.

მუხლი.V. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

1. მიწოდებულ საქონელზე მხარები ადგენენ მიღება ჩაბარების აქტს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საქონლის აღწერილობა და მისი საერთო ღირებულება.

2. საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

3. საქონლის მიღებას აწარმოებს სსიპ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #178 საჯარო სკოლის დირექტორი ნანა ლაბაძე.

მუხლი .VI ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში მხარეების მიერ ხელშეკურლებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან არაუმეტეს 15 სამუშაო დღისა აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების ან/და ანგარიშ - ფაქტურის საფუძველზე.

მუხლი.VII მხარეთა უფლება- მოვალეობანი

1. მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევით ერთმანეთისთვის მიყენებული ზარალისთვის.

2. მიმწოდებელი ვალდებულია

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებაში მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების დასრულება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციისათვის საქონლის გადაცემიდან ერთი თვის ვადაში ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული თითოეული საქონლის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს შვდი სამუშო დღის განმავლობაში შეცვალოს საქონელი მსგავსი დასახელების, ტექნიკური პარამეტრების, ძირითადი მახასიათებლებისა და საიდენტიფიკაციო პარამეტრების, შესაბამის ნივთობრივად უნაკლო საქონლით.

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყონებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

დ) ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი.

ე) მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში გადაუხადოს შემსყიდველს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1 პროცენტის ოდენბით.

3. მიმწოდებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს საქონლის მიწოდებაზე, თუ:

ა) საქონლის მიწოდება შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორს- მაჟორული მოვლენების გამო;

ბ) შემსყიდველი არ იცავს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.

4. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია

ა) მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალიწინებულ ვადაში აუნაზღაუროს

მიწოდებული საქონლის ღირებულება:

ბ) ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს გადაუხადოს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით.

5. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია:

ა) შეასრულოს მასზე ნაკისრი ვალდებულება ხელშეკრულების პირობების თანახმად;

ბ) მიმწოდებელს გადაუხადოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალიწინებულ ვადებში.

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდეულებები.

6. თვითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

VIII მუხლი.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

1. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია ხელშეკრულების ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

2. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება საქონლის მიწოდებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: სსიპ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #178 საჯარო სკოლის მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორს **ნუგზარ ყულიშვილს,** რომელიც აგრეთვე უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების ჩატარების დროს.

3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ად დეფექტის შესახებ შემსყიდველი ორგანიზაცია დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

4. მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინების 2(ორი) დღეში გამოასწოროს წუნი.

5. გამოვლენილი ნაკლის ან დეფექტის აღმოფხვრიდან, ასევე ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქრთველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

IX მუხლი.ფორს-მაჟორული სიტუაციები

1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკურლების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.

2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკედებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარი გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მომწოდებლის შეცდომებისა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური უბედურებით და სხვა გარემოებებით.

3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს უნდა მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

X მუხლი. სხვა პირობები

1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

2. მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით 20 დღის განმავლობაში. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

3. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს 2 დღით ადრე.

4. მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს დ ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას ხოლო ერთი ეგზემპლიარი მიმწოდებელს:

მიმწოდებლის მხრიდან შპს „ვინკო „	შემსყიდველის მხრიდან
/ზაზა შიმაკიძე/	დირექტორი /ნანა ლაბაძე/

დანართი 1

ხელშეკრულების საგნის აღწერა

შესყიდვი სობიექტია შემდეგი დასახელების საქონელი

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	ფარდა ჟალუზი	5,72მ/33	2	28,00	160,00
					160,00

სკოლის დირექტორი
/ნანა ლაბაძე/

დირექტორი:

/ზაზა შიმაკაძე/